ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6653135

ნომერი: AR1987486

თარიღი : 01.09.2023

გაცემის თარიღი : 08.09.2023

გაცნობის თარიღი : 09.09.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ჯამბულ წურწუმიას ქუჩა, N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა სირაძე პ/ნ 01805046326
- თბილისი გრ.როზაქიძის გამზ. N 7 კორ. 2 ბ. 28

ორგანიზაცია:

- შპს ელისი კოდი: 402113547

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 5 მაისის №6448799 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 1 სექტემბერს №AR1987486 განცხადებით მომართა ბექა სირაძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 5 მაისის №6448799 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 30 მარტის №6393685 ბრძანებით, №01.19.23.021.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მაღაზიის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 5 მაისის №6448799 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 5 მაისიდან 2024 წლის 5 მაისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, აღარ არსებობს სამსახურის 2023 წლის 5 მაისის №6448799 ბრძანების საფუძველზე მშენებლობის განხორციელების ინტერესი და ითხოვს მის ძალადაკარგულად გამოცხადებას. ამასთან, წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი, საპროექტო ტერიტორიის არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალით დგინდება, რომ 2023 წლის 5 მაისის №6448799 ბრძანების საფუძველზე, სამშენებლო სამუშაოები განხორციელებული არ არის.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №882023729838; მომზადების თარიღი: 20/07/2023 წ.) №01.19.23.021.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „GREEN ENERGY” (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404960761). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაციის ნომერი: B20036027; მომზადების თარიღი: 22/05/2020 წ.) შპს „GREEN ENERGY”-ის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს გიორგი თედორაძე. ხოლო, მის მიერ 2023 წლის 3 აპრილს გაცემული №230419073 მინდობილობით, დგინდება განმცხადებლის - ბექა სირაძის უფლებამოსილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილების მიხედვით, ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან. ამასთან, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განგიმარტავთ, რომ 2023 წლის 5 მაისის №6448799 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები არ უქმდება (მათ შორის, მშენებლობის ეტაპების დარღვევის შემთხვევაში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგი და დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება).

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს სამსახურის 2023 წლის 5 მაისის №6448799 ბრძანება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაკმაყოფილდეს ბექა სირაძის 2023 წლის 1 სექტემბრის №AR1987486 განცხადება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 5 მაისის №6448799 ბრძანება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.